იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჯლის სპა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-13 წელი

№ 6 (214)

მარტი,

1969 წელი



ქუთაისური „კოლხიდა“

მთელს ჩვენს ქვეყანაში ფართოდ არის ცნობილი „კოლხეთის“ მარკის სატვირთო ავტომობილები, რომელთაც ქუთაისის საავტომობილო ქარხანა უშვებს. მარტო გასულ წელს ქართველმა ავტომობილმშენებლებმა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონსა და ქალაქებში გაგზავნეს „კაზ-608“ მარკის ათასობით მანქანა, რამდენიმე ათასი ნახევარსაბმურები, 12 მილიონ მანეთზე მეტი სათადარიგო ნაწილები.

სურათზე: ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონვეიერი.

ამუშავდება 1969 წელს


საქართველოში შენდება დაახლოებით 100 სამრეწველო ობიექტი სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგისათვის. მათი უმრავლესობა მალე ამუშავდება. ესენია ფერადი მეტალურგიის სამთოგამამდიდრებელი კომბინატი და საკონსერვო ქარხნები აღმოსავლეთ საქართველოში, მანგანუმის მაღაროები და ტრიკოტაჟის ფაბრიკები დასავლეთ საქართველოში და სხვ.

საბურთალოს არქიტექტურულ ანსამბლს შეემატა მმართველი გამოსათვლელი მანქანების მომავალი ქარხნის 20 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის პირველი საწარმოო კორპუსი. მალე დაიწყება სხვა საამქროების მშენებლობაც. უკვე წლის დამლევისათვის ქარხნის პირველი რიგი გამოუშვებს პროდუქციას. ახალი საწარმო ერთ-ერთი წამყვანი იქნება ჩვენი ქვეყნის ხელსაწყოთსაშენებელ მრეწველობაში.

ხაშურში შენდება საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა, რომლის მსგავსი სიმძლავრის მიხედვით არ იქნება რესპუბლიკის მონათესავე საწარმოთა შორის. როცა იგი სრული სიმძლავრით ამუშავდება, იქ იმუშავებს 2.500 კაცი.

მრეწველობის განვითარება დასახულია არსებულ საწარმოთა გაფართოების ხარჯზე. მარტო შარშან ახალი დამატებითი სიმძლავრეები ამუშავდა საქართველოს 50 ფაბრიკაში, ქარხანასა და კომბინატში. წელს ასეთი საწარმოები იქნება 60. ეს არის 100 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი დამატებითი და მალიონ მანეთამდე დაზოგილი სახსრები, ნაცვლად ახალი ობიექტების მშენებლობისა.

იმ საწარმოთა რიცხვში, რომლებიც განიცდიან რეკონსტრუქციასა და გაფართოებას, შედის ელექტროტექნიკური, მანქანათსაშენებელი, ხელსაწყოთსაშენებელი ქარხნები, ტრიკოტაჟის, საფეიქრო ფაბრიკები და სხვა საწარმოები. მაგალითად, თბილისის პლასტმასების ქარხანაში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი უბანი მსხვილი დეტალების დასამზადებლად. თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხანაში კი დამატებითი სიმძლავრეები, რომლებიც თანდათანობით ჩადგება მწყობრში, შეუცვლიან სახეს საწარმოს, მკვეთრად გაუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს.



თბილისის ჩარხსამშენებლო ქარხანაში მუშაობს 18 წელი, ყოველთვიურ გეგმას 160-180 პროცენტით ასრულებს, სწავლობს თბილისის მანქანათსამშენებლო ტექნიკუმის მექანიკა-მანქანათსამშენებლო ფაკულტეტის საღამოს განყოფილების მესამე კურსზე. აი, მოკლე ცნობები მოწინავე ხარატის, ზურაბ სარალიძის შესახებ.

სურათზე: ხარატი ზურაბ სარალიძე.

გორი შენდება

გორი. სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება ქალაქი გორი. შარშან აქ გაიხსნა საბრძოლო დიდების მუზეუმი, აგრეთვე ბავშვთა ტანსაცმლის ატელიე და ქალთა სალონი, საექსპლოატაციოდ გადაეცა სისხლის გადასხმის სადგური, ასობით ოჯახი ჩასახლდა ახალ ბინაში და სხვ.

ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოთა წლევანდელი გეგმა კიდევ უფრო ფართოა. ძირითადად დამთავრდება ქალაქის გაზიფიკაცია, გაგრძელდება სამედიცინო ქალაქის მშენებლობა, მწყობრში ჩადგება ბინათმშენებლობის კომბინატი, დაიწყება რკინიგზისა და ავტოსადგურის კომპლექსური შენობის, გორიჯვრის მთაზე საბაგირო გზის, ჰიგიენის სახლის, წყალსადენის, სასათბურო მეურნეობის და სხვა ობიექტების მშენებლობა.

გმირები მაყურებელთა დარბაზში

რესპუბლიკის სახალხო არტისტის რეჟისორ შოთა მანაგაძის ახალი მხატვრული ფილმის „ჯვარცმული კუნძულის“ პირველი მაყურებლები ისინი იყვნენ, ვისზეც ფილმი მოგვითხრობს. კინოსურათი ეკრანზე აღადგენს 800 ქართველი სამხედრო ტყვის გმირობას, რომლებიც აღსდგნენ ჰიტლერელ ოკუპანტთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის დროს ტექსელის კუნძულზე.

მაყურებელთა დარბაზში სიჩუმე იდგა, როგორც ხდება ხოლმე დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავ დუმილის წუთს. ამ გმირული ბრძოლის მონაწილენი — ომის ვეტერანები შ. ნოზაძე, უ. სადღობელაშვილი, ა. ბადალაშვილი, დ. სარჯველაძე, ვ. ყიფიანი, ე. არტემიძე, ს. მგელაძე, ზ. ჯაოშვილი, ლ. ხურცილავა, კ. მაჩაიძე, ნ. გონგლაძე, გ. რეხვიაშვილი ფილმის გმირებში ხედავდნენ საკუთარ თავს, თავიანთ ამხანაგებს, ხელახლა განიცდიდნენ დიდ ხნის წინანდელი, მაგრამ ჯერ კიდევ ესოდენ დასამახსოვრებელი ომის ამბებს. სურათის ნახვის შემდეგ მათ მადლობა გადაუხადეს ფილმის შემქმნელს მართალი მოთხრობისათვის საბჭოთა ადამიანის გმირობაზე, გმირთა უკვდავებაზე.

ცოცხალი დარჩა მხოლოდ 200 მეომარი, ხოლო ძმათა სასაფლაოზე ჰოლანდიაში განისვენებს სამშობლოს 565 დამცველი. თითოეულ საფლავზე, რომლებსაც სათუთად უვლიან კუნძულის მცხოვრებნი, ჰყვავიან ცნობილი ჰოლანდიური ტულიპები. აქ, ყოველ წელს, 4 მაისს მოდიან ჰოლანდიელები — ისინი, ვინც ომი გადაიტანა, და ბავშვები, რათა პატივი სცენ დაღუპული საბჭოთა მეომრების ხსოვნას.

სურათში ძირითადად მონაწილეობენ ახალგაზრდა მსახიობები, რომლებიც ომის დროს ჯერ კიდევ ბავშვები იყვნენ. მაგრამ მათ შეძლეს შეექმნათ ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა დამაჯერებელი სახეები. მსახიობების თ. არჩვაძის, მ. ბებურიშვილის, ზ. ქაფიანიძის, ლ. ფილფანის, გ. ფალავანდიშვილის, გ. ტუაბლაძის გვერდით ფილმში მონაწილეობენ ლატვიისა და ესტონეთის ცნობილი მსახიობები ლ. ტუბინი, ტ. შმიდტი, ვ. რატასეტი, ე. მურნიეცე.

ფილმის სცენარი დაწერა მწერალმა რევაზ თაბუკაშვილმა, რომელიც იყო ტექსელის კუნძულზე და შეხვდა წინააღმდეგობის მონაწილეებს. მუსიკის ავტორია რესპუბლიკის სახალხო არტისტი კომპოზიტორი რევაზ ლაღიძე.

„ჯვარცმული კუნძული“ რეჟისორ შ. მანაგაძის მერვე მხატვრული კინოსურათია. დიდი წარმატება ხვდა მის ლირიკულ სურათს „ხევსურულ ბალადას“, რომელმაც მოიპოვა ხუთი საერთაშორისო პრიზი: ლოკარნოში, კანში (ორი პრემია), სან-ფრანცისკოში (პირველი პრემია გაიყო საბჭოთა ფილმ „დედის გულთან“ ერთად) და იტალიაში.

ცეცხლზე ფოლადი იწრთობა

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

...მატარებელი ღამით გავიდა.

დილით უკვე რუსეთის თეთრ ტრამალებს მიაპობდა იგი და ელექტრო ბოძები შეუკავებელი სისწრაფით მიჰქროდნენ უკან.

საფერფლე სიგარეტის ნამწვავებით იყო სავსე. გათოშილ ფანჯრებს ქარი ეხეთქებოდა.

ნამდვილი რუსული ზამთარი იდგა.

კუპეში სამნი ვისხედით. ერთი, სათვალებიანი რუსი. მაღალი, მელოტი, პენსიაზე გასული მძღოლი — დიდ სამამულო ომში არაერთგზის დაჭრილი. მან თავი ივანე პეტროვად გაგვაცნო. მეორე — დაბალი, ჩაფსკვნილი, ცისფერთვალება მკვირცხლი მამაკაცი, ისიც მელოტი იყო. რაღაცით მფრინავის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მისი თვალები ყოველ წუთს მზად იყვნენ ეთქვათ რაღაც გულში მიმალული სევდა თუ სიხარული, რომელიც, ჩანდა, ძლიერ აფორიაქებდა მის სულს.

ჩვენ მატარებელში ჩასხდომისთანავე გავეცანით ერთმანეთს და მოხდა მოულოდნელი დამთხვევა — ის ჩემი მოგვარე, ცხაკაელი გალაქტიონ ფიფია აღმოჩნდა.

...მესამე დღეს მატარებლის რადიოკვანძმა მოსკოვში შესვლა გვაუწყა. ვაგონის ფანჯრიდან, პერონზე გალაქტიონმა მაღალი სამხედრო კაცი შენიშნა.

— მგონი ის არის... რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ... — თქვა და ამით წერტილი დაუსვა იმ ამბავს, რომელსაც მე და ივანე პეტროვს ორი დღე-ღამის განმავლობაში მოგვითხრობდა.

მშრალად, ძალიან მშრალად ჩავინიშნე ზოგი რამ ამ მონაყოლიდან.

* * *

...ომის დაწყების პირველსავე დღეს მოულოდნელად მიიღეს ნაწილის უფროსის, მიტელმანის ბრძანება.

— აღმოსავლეთისაკენ მოფრინავენ გერმანელთა ბომბდამშენები, გადაუღობეთ გზა და არ მისცეთ ბომბების ჩამოყრის საშუალება.

...საღამოს როცა საბჭოთა ესკადრილია უკან დაბრუნდა, გალაქტიონ ფიფიასა და მის თანამებრძოლს კაპიტან სავენკოს მტრის პირველი თვითმფრინავის ჩამოგდება მიულოცეს მეგობრებმა.

შემდეგ... შემდეგ უკვე ორი ათასი საათი იფრინა გალაქტიონმა ცეცხლმოკიდებული დედამიწის ნისლითა და ქვამლით დაფარულ ცაზე. ორი ათასი საათი ეძებდა ცასა და დედამიწას შორის სიკვდილს, რომ დაემარცხებინა იგი...

ოდესასთან მძიმედ დაიჭრა. გამოჯანმრთელებული სტალინგრადის ფრონტზე, მაიორ ი. კრუტიკოვისა და ვ. ჯუღაშვილის შეკარდნებთან, საბჭოთა კავშირის გმირ ახმედ ხან სულტანის გვერდით ანადგურებდა ფაშისტებს.

მალე მთავრობის სპეციალურ დავალებათა შესასრულებლად გადაიყვანეს.

აქ გაეცნო იგი ესკადრილია, „ნორმანდია-ნემანის“ ეკიპაჟს. გალაქტიონმა ერთ-ერთმა პირველმა ასწავლა ფრანგ მფრინავებს საბჭოთა საავიაციო ტექნიკის მართვა ქ. ივანოვოს ჩრდილოეთის აეროდრომზე, აქ ჩაეყარა ამ ესკადრილიის ფრანგი მეთაურის, საბჭოთა კავშირის გმირის ლუი დელფინოსა და ქართველი გალაქტიონ ფიფიას მეგობრობას საფუძველი...

...ომის დამთავრებამ ბერლინის მისადგომებთან მოუსწრო გალაქტიონს. მას და ამჟამად საქართველოს საფრენოსნო რაზმის უფროსს ლეონიდ თალაკაძეს, სამგზის საბჭოთა კავშირის გმირ გენერალ ლეიტენანტ ივანე კოჟედუბთან ერთად მიჰქონდათ იერიში ბერლინზე.

...გამარჯვების საჰაერო პარადის დროს კი მოზეიმე დედაქალაქს წითელი მოედნის ციდან დაჰყურებდა. ცოტა ადრე, 1944 წლის მარტში კი „გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და გულადობისა და მამაცობისათვის გალაქტიონ ალექსის-ძე ფიფია დაჯილდოებულ იქნა „წითელი ვარსკვლავის ორდენით“ — წერდა გაზეთი „კომუნისტის“ მოსკოველი კორესპონდენტი.

ხოლო იმ ამბავზე, რომელზედაც ახლა მიდიოდა და, რომელიც 1941-ის დასაწყისში მოხდა ოდესის ცაზე, არავინ არაფერი იცოდა, არავის არაფერი უთქვამს...

— ის კი არადა მეც მავიწყდებოდა — არა. ეს ჩემი მორიგი გაფრენა იყო, — განაგრძო გალაქტიონმა — სპეციალური დავალება შევასრულე და აეროდრომზე ვბრუნდებოდი. „ი-15“ მსუბუქად მიცურავდა ჰაერში. ალტიმეტრი სამიათას მეტრს უჩვენებდა...

...რომელიღაც სამგზარო მატარებელმა დგანდგარით ჩაგვიქროლა სამხრეთისაკენ. ფანჯრებიდან ცნობისმოყვარე სახეები იცქირებოდნენ.

...საღამოს ბინდს ჭალები აჭა-იქ ჩაეშავებინა უკვე. ცა იყო მოწმენდილი. მოულოდნელად გალაქტიონმა ქვემოთ, დაახლოებით 2.000 მეტრზე საჰაერო ბრძოლა შენიშნა — ერთ საბჭოთა გამანადგურებელზე იერიში მიჰქონდა სამ „მესერშმიტს“. მტრის თვითმფრინავებმა დაიზიანეს საბჭოთა მანქანა. მფრინავი ცეცხლმოკიდებულ მანქანიდან გადმოხტა და პარაშუტზე ჩამოეკიდა. „მესერშმიტები“ მაინც არ ეშვებოდნენ, უხდოდათ მფრინავი ჰაერშივე მოესპოთ... გალაქტიონმა მანქანა ღრმა პიკირებაში გადაიყვანა, ტყვიამფრქვევის ღილაკს ფრთხილად შეახო ხელი და როცა ოპტიკური სამიზნე „მესერშმიტის“ ცხვირწინ გაიყინა, ცეცხლი გახსნა... ფაშისტი ქვასავით დაეშვა ძირს. მოულოდნელობისაგან დაბნეული დანარჩენი ორი კი ცის ლაჟვარდს გაეკრა... პარაშუტი ნელა, მშვიდობიანად დაეშვა მიწაზე. შემდეგ არც უცდია გაეგო მის მიერ გადარჩენილის გვარი და სახელი. ალბათ შეუძლებელიც იყო. ყოველივე ეს საბჭოთა მფრინავისათვის ჩვეულებრივ ამბად ჩათვალა და დაბრუნების შემდეგ ხანდახან თუ მოუყვებოდა თავის ოთხ ქალიშვილსა და ერთ ვაჟს ამის შესახებ. ეს იყო და ეს, მას მერე ოცდარვა წელმა განვლო.

გაფრენილი ორიათასი საათი უპრეტენზიოდ იდო მფრინავის მოგონებად ქცეულ წიგნაკში.

...იმ დღეს კი ტელეფონმა დარეკა. ყურმილი ვაჟმა აიღო.

— მამა, გთხოვენ... — უთხრა მან.

ცხაკაიას რაიონის სამხედრო კომისარი იბარებდა. პირველად ეგონა ეს მორიგი გამოძახება იყო, მაგრამ შეცდა. მას, გალაქტიონ ფიფიას, საქმთავარერგოს ცხაკაიას ელექსელის უფროსის ინჟინერს ეძებდა და თავისთან იწვევდა მოსკოველი ვლადიმერ ვორონცოვი, თადარიგის მაიორი და ახსენებდა იმ მორიგ გაფრენას, რომელზედაც ხანდახან თუ უყვებოდა თავის პატარებს...

გალაქტიონმა ჯიბიდან სამხედრო ქაცის სურათი ამოიღო.

...მატარებელი კვლავ მიჰქროდა და მოგონებად ტოვებდა უკან ყოველ ბუჩქსა და ხეს. ცხოვრება კიდევ ერთ მღელვარებით სავსე საათს უწერდა ქართველ მფრინავს აქტივში. 2.001-ე საათზე კიდევ ერთხელ იგრძნობდა იგი მტერზე გამარჯვებით გამოწვეულ სიამაყეს. გაყინულ მდინარეზე მეთევზეებს აჭა-იქ ყინული ამოეჭრათ და მოთმინებით ელოდნენ „ბედს“. როგორღაც პატარა დასახლებას ჩავუარეთ. ამწეებში და ხაოჩოებში ჩაფლულიყო იგი. ადამიანები აშენებდნენ ქვეყანას. მატარებელმა მიაკივლა. ეხო შთაინთქა ველზე. თვალწინ წამიერად გამოეკვეთა ჰაერში მონანავე პარაშუტის სითეთრემ და იქ, სადაც ძირს, ტყის შუაგულში მიწას დანარცხებულმა „მესერშმიტმა“.

— ომი ათასი ტკივილითა და უცნობი გმირებითაა სავსე... — თქვა ივანე პეტროვმა. მე ფანქარი მაგიდაზე დავდე და ამ ნაომარ ვაჟკაცებს შევხედე სახეზე. მათ თვალწინ თითქოს ახლაც ფეთქდებოდნენ ყუმბარები, ინგრეოდნენ სახლები, ტიროდნენ ბავშვები, კიოდნენ დედები და კვდებოდნენ ადამიანები...

...ამასობაში მატარებელი მოსკოვში შევიდა.

* * *

მოსკოვიდან დაბრუნებულმა ცხაკაიის რაიონული გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი სურათი ვნახე: წითელ მოედანზე ორნი იდგნენ. ერთი, ვიღაც მაღალი სამხედრო კაცი, მეორე ჩემი მოგვარე და ძველი ნაცნობი გალაქტიონ ფიფია, რომელსაც ეს სიტყვები ეკუთვნოდა:

— ომმა სიკვდილი და უბედურება მოუტანა ხალხს. მაგრამ ცეცხლზე ფოლადი იწრთობა ჩემო ძმაო!...

ჟურნალისტ ბ. მილიუტინის პატარა წერილს კი ამ ორი ადამიანის იმ ბობოქარ დღეებში ნაწრთობ მეგობრობაზე, ასეთი სათაური ჰქონდა: „შუქი სიცოცხლის გასაყარზე“. ის გაკვრით გვიყვებოდა იმ ამბავს, რომელზეც მატარებელში მოგვიყვა გალაქტიონი. და მე ხსენების მაგივრად შემოშორდა — ივანე პეტროვის თქმისა არ იყოს, ვინ იცის ჯერ კიდევ რამდენი უცნობი გმირობა იმალება ყუმბარებით გადახნულ სანგრებში, და როდის იხილავენ ისინი დღის სინათლეს? მათ გამოვლენა უნდა!

...ჩემს უბის წიგნაკში იკლებიკლოდ ჩანიშნულმა მონაყოლმაც ამიტომ იხილა დღის სინათლე...

ზაურ ფიფია.

გიორგი სანადირაძე

ქერია

..

მოთხრობა

1.

მეთევზეთა დაბის ბოლოს, ზედ ზღვის პირას, მუუდროდ, წითელი კრამიტით გადახურული შენობა იდგა. გარედან, კარის ზემო წურთილზე მიჭედილ აბრაზე, ოდესღაც გარკვევით ეწერა: „სასაუზმე“. მაგრამ მზემ, მლაშე ქარმა და გადაუღებელმა წვიმებმა უმოწყალოდ დარია ხელი ადგილობრივი მხატვრის ერთადერთ შედევრს, და თუ ძალიან დაუკვირდებოდი, ლანგარზე დასვენებული, პირში ბოლოკგარჭობილი, შეპიწკინებული გოჭის თავის გარჩევა შეიძლებოდა მხოლოდ. ამბობენ, ამ აბრაზე მხატვარს არც მწვადები, არც ყალიოდ მოხარშული ქათამი და არც ჯიხვის წვერწამახული უანწები დაუვიწუნა. რას იზამ, უამთასვლამ ერთიანად გამოახუნა ყოველივე. მაგრამ თვით სასაუზმეში, როცა არ უნდა მოგეთხოვათ, ყოველთვის ჰქონდათ:

ჩამოსასხმელი ღვინო (რა თქმა უნდა, ცოლიკაური, ხანდახან — ადესაც);

ქინძმარში ჩამბალი კეფალი;

ნადუღი პიტნით;

ნაკვერჩხლებზე გაფიცხებული ჭადი;

ქოთანში ამოლესილი ლობიო, და, რა გინდა, სულო და გულო...

2.

ზამთრის გრძელ ღამეს ამაზე უკეთეს ადგილს ვერც ინატრებდა კაცი. ჰოდა, ადვილი შესაძლოა, სწორედ ამ პატარა და მყუდრო დუქანმა დაახლოვა ისინი. გრძელი, დაკოჟრილი ხელებით მაგიდას დაყრდნობოდნენ და სვამდნენ. ზოგჯერ მთელი საათი ისე გავიდოდა, სიტყვასაც არ ეტყოდნენ ერთმანეთს. ისხდნენ ჩუმად, ჩაფიქრებულნი, თითქოს შემომსვლელ-გამსვლელთა თვალიერება ჰქონდათ დავალებული. მაგრამ მათი მზერა, უცნაური მზერა და დაღლილი სახე თავისთავად მიგანიშნებდა, რომ ამ ადამიანებს მძიმე გზა ჰქონდათ გავლილი.

როცა მიმტანმა ცარიელი ბოთლები აალაგა და შუა ადგილას, ვეება, შეჭვარტლული ტაფით ფილიპა მზარეულის სახელგანთქმული „სალიანკა“ დადგა, ერთმა, უფრო ხნიერი რომ ჩანდა, ჭიქები შეავსო და თანამესუფრეს გადახედა.

— ეს რა მითხარი, კაცო, — ამოღერღა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, — მაშ, შვილიც არა გყავს?

— აკი გითხარი, ქალისკენაც არ გამიხედია მეთქი.

— ჰოო, — ჩაფიქრდა პირველი, თითქოს რაღაცის გახსენება უნდოდა. — მე კი ბედმა არ გამიღიმა, — განაგრძო, — ჯერ იყო და უდროო დროს მომიკვდა ქალი. ძუძუთა ბალღი დამიტოვა და ძლივს გამოვზარდე. იმედს არ ვკარგავდი. მადლობა ღმერთს, ცხოვრება აეწყო მეთქი, მარა... მერე ომი დაიწყო...

მეორემ ღვინო მოწრუპა და ღრმად ამოისუნთქა. მის სახეზე თანაგრძნობა და პატივისცემა გამოკრთა. „და მარტოდ დარჩა, — გაბზკალა გუნებაში. — ადამიანისათვის კი არაფერია იმაზე სამძიმო, როცა მარტოდ რჩება“.

შენობაში ცხელოდა. მინები დაორთქლილიყო. მეზობელ მაგიდებზე, როგორც ყოველთვის, მეთევზეები ისხდნენ და ხმამაღლა საუბრობდნენ.

— ჩემს სახლამდე აქედან ბარე ხუთი კილომეტრი მაინც იქნება. მაგრამ აქ ყოველ საღამოს გამოვივლი ხოლმე. მიყვარს ეს ადგილი. ვჯდები ცალკე, ჩემთვის, ვუსმენ...

— უსმენ?

ჰო. ადამიანთა საუბარს. ისინი თავიანთ ცხოვრებაზე ყვებიან, თვალებს ვხუჭავ და წარმოვიდგენ, თითქოს მათ კი არა, ეს მე გარდამხდა ყველაფერი. საკუთარი ცხოვრება კი მავიწყდება. რა თქმა უნდა, წმით მავიწყდება, ყველაფერი მავიწყდება. მაგრამ გულის ერთი კუნჭულით ხომ მაინც ვიცი, რომ ამას განგება ვაკეთებ, თავის დასამშვიდებლად? ასეთი ყოფილა, ძმაო, მარტოხელა ადამიანი...

„კი, ასეთია“, — გუნებაში დაუმატა მეორემ და სარკმელში გაიხედა. ღამე იყო — ცივი და უმთვარო.

მამაკაცებმა სულის ერთი მოთქმით ამოაშრეს ჭიქები და განზე გასწიეს. მხოლოდ ახლა მოიკითხეს, რა დროაო.

ნახარჩი გადაიხადეს და წამოდგნენ. საღამაც, დაბის ბოლოს მამლები ყიოდნენ. მთვარე არ ჩანდა, არც რეიდზე ჩამომდგარ გემებიდან აღწევდა შუქი. ყველას და ყველაფერს ძილი დაუფლებოდა. მხოლოდ ძაღლები ფრთხილობდნენ — ისინი თავგამოდებით დასდევდნენ მრუმე ლანდებს.

მეორე ღამეს ისევ შეხვდნენ ერთმანეთს.

— კალატოზობა კარგი საქმეა, ძმაო, — თქვა ერთმა, მსუქან-მსუქანმა, ბორბალივით რომ ჰქონდა ღიპი დადებული. — ასეთი ხელობის კაცი ძნელად თუ დაიკარგება.

— არც შენ გექნება ნაკლები გამომუშავება, — ჩაურთო მეორემ, შვილი რომ ჰყავდა ომში დაკარგული.

— მერე? — მხრები აიჩეჩა პირველმა, — არც ხვავი აქვს და არც ბარაქა. მაინც ქარს მიაქვს ყველაფერი. ადრე, ვიდრე ახალგაზრ-

სიმღერა ხალხის გულისა



სურათზე: ანსამბლი „შვიდკაცა“ კ. ხუხუნაიშვილის ხელმძღვანელობით.

ქართული ხალხური სიმღერების შესახებ ბევრი დაიწერა და მომავალშიც დაიწერება. როგორც ქართული კულტურით დაინტერესებულ ყველა მამულიშვილს, ამჯერად მეც მსურს პატარა ცნობა მივაწოდო გაზეთის მკითხველებს, რომლებმაც შესაძლოა შემდგომში მეტი ნათელი მოჰფინონ ამ საქმეს.

ამ რამდენიმე წლის წინათ ჩოხატაურში საფუძველი ჩაეყარა მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. ამ კეთილშობილურ საქმეში თავისი წვლილი შეიტანა ყველამ, ვინც ოდესღაც რითიმე მაინც იყო დაკავშირებული აღნიშნულ კუთხესთან. იმ ქველმოქმედ ადამიანებს შორის, რომლებმაც ხელი შეუწყეს მუზეუმის დროულად გახსნას, იყო აწ განსვენებული პროფესორი სერგი ჟღენტი.

ფურცლები ახლო წარსულიდან

მას მუზეუმისათვის სხვა კოლექციასთან ერთად ქართული ხალხური სიმღერების უნიკალური ჩანაწერი გადაუცია.

1962 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტმა ქალაქ ბერლინში პროფ. ს. ჟღენტი მეცნიერული მივლინებით გაგზავნა. მან იქ მუშაობისას მიაკვლია და ფირზე გადმოიღო შემდეგი ქართული სიმღერები: „მწვანესა და უქუდოსა“, „ჩვენ მშვიდობა“, „სიმღერა საქართველოზე“ და „ხასანბეგურა“. ამ სიმღერებს ასრულებენ სოფელ ზემოფარცხმელი ვიქტორ მეგრელიშვილი, უშაფათელი გრიგოლ ხორავა და ხორგელი კალისტრატე კანკავა. როგორც გაირკვა ისინი პირველი მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილან და გარკვეული ხნის განმავლობაში გერმანიაში ყოფილან. სამშობლოს მოწყვეტილ ქართველებს გართობის მიზნით მომღერალთა ტრიო ჩამოუყალიბებიათ. მათ მიერ შესრულებული სიმღერებით გერმანელი მეცნიერი ა. დირი დაინტერესებულა და ფირფიტაზე ჩაუწერია. სწორედ ეს ჩანაწერი მიაკვლია ბერლინში ს. ჟღენტმა. სხვა რამ ამ ჩანაწერის შესახებ ჯერჯერობით უცნობია. შესაძლებელია კიდევ არსებობდეს ა. დირის მიერ ჩაწერილი სხვა სიმღერებიც. მით უმეტეს, რომ ა. დირი კავკასიით დაინტერესებული მკვლევარი ყოფილა.

1968 წელს გამოცემულ ს. ჯორბენაძის წიგნში „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია“ აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტს დაღესტნის ენების კათედრაზე კონკურსის წესით გერმანიიდან დოქტორი ა. დირი მოუწვევია, მაგრამ მას თბილისში ჩამოსვლა ვერ მოუხერხებია.

საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი ქართველების მიერ შესრულებული სიმღერების გაცნობით გერმანელმა მეცნიერმა ზიგფრიდ ნადელმა დაწერა გამოკვლევა „ქართული სიმღერები“. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წიგნში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ ამის შესახებ წერს: „1933 წელს ბერლინში ზიგფრიდ ნადელის გამოკვლევა „ქართული სიმღერები“ დაიბეჭდა, რომელიც 47 გვერდს გამოკვლევასა და 35 გვერდს ფონოგრაფით ჩაწერილი სიმღერების ნოტებზე გადაღებულს დანაბეჭდს შეიცავს. ჩანაწერი მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი ქართველი ჭარისკაცების ნამღერებს წარმოადგენს. მომღერალნი მაინცდამაინც მცოდნე და დახელოვნებული არ ყოფილან. მაგრამ ამ საკუთარ მასალას გარდა, ნადელს ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილისა და ია კარგარეთელის ნაშრომებიც ჰქონია ხელთ და თავისი გამოკვლევისათვის გამოუყენებია“.

როგორც ვხედავთ ქართული ხალხური სიმღე-

4.

და ვიყავი, ჩიტივით ვცხოვრობდი, დარდი მე არ ვიცოდი და მოწყენა, მაგრამ გავიდა დრო... და აი, ახლა ჩოფურა ქაზიმას ბედიც შეხარებება, დგას დახლთან, ვაჭრობს დამშვიდებით, იცის — შინ ელიან. გვიან მივხვდი, რას ნიშნავს ოჯახის სითბო... მერე ცოლი?!

— ოფიციანტ, ორი მწვადი და ღვინო!...

მიმტანმა თვალისდახამხამებაში გააჩინა ღვინოცა და მწვადიც. მაგიდაზე რომ დასდო, იკითხა, კიდევ ხომ არ ინებებთ რამესო.

— არაო, თავი გაუქნია მსუქანმა და ბოთლს წაეტანა.

მას წინანდებურად სუფთა და გახამებული პერანგი უჭირდა ნაცრისფერ პიჯაკიდან. მის მეგობარს საკმაოდ მოკლე პალტო ეცვა. ომში დაკარგული შვილის ნაჩუქარიაო, ამბობდა ვერც შელეოდა. ყოველდღე ვწმენდო, როცა რაიმე ლაქა დაჩნდება, თითქოს ჩემს გულს დასჩენოდეს, ისე განვიცდიო.

თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს და... თითქოს შიგ დანთებული ხანძარისა შეეშინდათო, მაშინვე ჰკიდეს თავი. „ვეებერთელა ოჯახი მიოხრდება, — გაიფიქრა შვილდაკარგულმა, — მოდი, ვიძმობ და შევიკედლებ. კარგი ვაუკაცი ჩანს, ზრდილი და პირიანი“.

— ჩემთან გადმოსვლაზე რას იტყვიო, — ძლივს ამოხლინძა. პირველი ჩაფიქრდა. შუბლი ერთიანად დაუნაოჭდა. პურის ქერქს წაეტანა, მომუჭა, მომუჭა და ნამცეცებად აქცია. მერე ნამცეცები შეაგროვა, ხელისგულით დატკეპნა და დააშტერდა. შვილდაკარგულმა კი მისი დუმილი თანხმობად მიიჩნია, აუჩქარებლად განაგრძო, — უპირველეს ყოვლისა, სახლს ლამფები უნდა გამოვუცვალოთ. მართალია, ჩემი ხელობისა არაფერი გაგეგება, მაგრამ მალე შეგასწავლი, ჯეელი ხარ, ღონიერი. აბა, მე საიდან შევძლებ იმოდენა ლამფების თრევას? მომეხმარები? კი?

მეგობარმა გაუღიმა. ჭიქა ასწია, სინათლეზე გაუხედა. დალევით კი არ დაულევია.

5.

თვალწინ მამისეული სახლი დაეხატა. სახლის უკან მოლიკლიკე ღელის ხმა ჩაესმა, აივნის წინ აშრიალებულმა წიფელმაც გაახსენა თავი.

— აბა, რა გითხრა, — წაიბლუკუნა ცოტა ხნის შემდეგ, — ჩემს კერას რაღა ვუყო, მშობლიურ კერას...

იმ ღამეს ადრე დაიშალნენ. რაღაც კიდევ იყო მათ შორის უთქმელი. მაგრამ მაინც წავიდ-წამოვიდნენ, გზათა გასაყარზე ღამე ნებისა უსურვეს ერთმანეთს და წავიდ-წამოვიდნენ.

— იცი, — უთხრა შეხვედრისას უფრო ახალგაზრდამ, — ბევრი ვიფიქრე, გასივდა თავი ფიქრისაგან... თითონაც იცი, შეგეთვისე, გულში ჩაგახედე, თვალში რომ ჩამოვარდე, ხელსაც არ მოვისვამ... ჰოდა, შენი ნათქვამი მენიშნა. იქნებ შენ თვითონ გადმოხვიდე ჩემთან. სახლი თუ გადარდებს. გაჰყიდე, ტყვილად ხომ არ ჩაივლის, ფული გექნება, მოიხმარ.

— კარგიო, — თვალები გაუბრწყინდა შვილდაკარგულს, — სადაც გინდა იქ ვიცხოვროთ, ოღონდ ერთად ვიყვეთო. — და უცებ გონებაში რაღაც უცნაურმა ნაპერწკალმა გაუციმციმა. შეკრთა. ჩაფიქრდა. ვინ უწყის, შესაძლოა თავისი სახლი გაახსენდა, სახლი, საიდანაც დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ თავისი ვაჟის დაბადება ამცნო სოფელს, სადაც სიხარულთან ერთად ამდენი ჭირიცა და უბედურებაც ნახა. ბოლისაგან შელანძღულმა კედლებმა თავისკენ მოუხმეს თითქოს, ტკბილი, მომჯადოებელი ხმით შეჰღაღადეს ჩიტგაშლას რტოებმა, და იწყინა. — ჰა, შენ როგორ ფიქრობ, განა მე არა მაქვს მშობლიური კერა?

ასე დასცილდნენ ერთმანეთს.

თვალდახელშუა გაირბინა დრომ. მოთოვა, გაზაფხულდა, მოთოვა, გაზაფხულდა და ძველი მეგობრები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. სასაუზმე გადაეხალისებინათ. იატაკი გამოეთვალწინ მამისეული სახლი დაეხატა. სახლის უკან მოლიკლიკე ღელის ხმა ჩაესმა, აივნის წინ აშრიალებულმა წიფელმაც გაახსენა თავი.

— აბა, რა გითხრა, — წაიბლუკუნა ცოტა ხნის შემდეგ, — ჩემს კერას რაღა ვუყო, მშობლიურ კერას...

იმ ღამეს ადრე დაიშალნენ. რაღაც კიდევ იყო მათ შორის უთქმელი. მაგრამ მაინც წავიდ-წამოვიდნენ, გზათა გასაყარზე ღამე ნებისა უსურვეს ერთმანეთს და წავიდ-წამოვიდნენ.

— იცი, — უთხრა შეხვედრისას უფრო ახალგაზრდამ, — ბევრი ვიფიქრე, გასივდა თავი ფიქრისაგან... თითონაც იცი, შეგეთვისე, გულში ჩაგახედე, თვალში რომ ჩამოვარდე, ხელსაც არ მოვისვამ... ჰოდა, შენი ნათქვამი მენიშნა. იქნებ შენ თვითონ გადმოხვიდე ჩემთან. სახლი თუ გადარდებს. გაჰყიდე, ტყვილად ხომ არ ჩაივლის, ფული გექნება, მოიხმარ.

— კარგიო, — თვალები გაუბრწყინდა შვილდაკარგულს, — სადაც გინდა იქ ვიცხოვროთ, ოღონდ ერთად ვიყვეთო. — და უცებ გონებაში რაღაც უცნაურმა ნაპერწკალმა გაუციმციმა. შეკრთა. ჩაფიქრდა. ვინ უწყის, შესაძლოა თავისი სახლი გაახსენდა, სახლი, საიდანაც დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ თავისი ვაჟის დაბადება ამცნო სოფელს, სადაც სიხარულთან ერთად ამდენი ჭირიცა და უბედურებაც ნახა. ბოლისაგან შელანძღულმა კედლებმა თავისკენ მოუხმეს თითქოს, ტკბილი, მომჯადოებელი ხმით შეჰღაღადეს ჩიტგაშლას რტოებმა, და იწყინა. — ჰა, შენ როგორ ფიქრობ, განა მე არა მაქვს მშობლიური კერა?

ასე დასცილდნენ ერთმანეთს.

თვალდახელშუა გაირბინა დრომ. მოთოვა, გაზაფხულდა, მოთოვა, გაზაფხულდა და ძველი მეგობრები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. სასაუზმე გადაეხალისებინათ. იატაკი გამოეცვალათ და სარკმლებზე ჭოთნის ყვავილები ჩაეწყაპათ.

ჩოფურა ქაზიმამ ძლივს იცნო ისინი.

სად დაიკარგეთო, გაშალა ხელები.

რაღაც უცნაურად გაიღიმეს, გაიღიმეს და მეტი არაფერი.

ერთ მაგიდასთან შედგნენ. მიმოიხედეს, ორჭოფობდნენ თითქოს, ბოლოს უფრო სანშიესულმა, გახუნებული პალტო რომ ეცვა, იკითხა:

— ღვინო დავლიოთ თუ ლუდი?

— ღვინო სჯობია.

— კარგი, ღვინო იყოს.

დასხდნენ. წინანდებურზე მოტეხილნი ჩანდნენ, ოდნავ მობერებულნიც. დიდი ხნის უნახავები იყვნენ და ერთმანეთის ამბავი გაიკითხ-გამოიკითხეს.

— იქნებ, ბოლოსდაბოლოს, გადაწყვიტო და გადმოხვიდე, ა? — თქვა შვილდაკარგულმა და ხმა აუთრთოლდა. — სახლი სადაცაა დაინგრევა, ნუ გამიპარტახებ მამაპაპურ კერას. გვერდში ამომიდექი, მომეხმარე.

— მოხმარებით კი მოგეხმარები, — შეიშმუშნა შედარებით ახალგაზრდა, — მარა ჩემს მშობლიურ კერას რა ვუყო — მიმტანს შეხედა, თითქოს დასტურის მილება უნდოდა. პირსახე წმინდად ჰქონდა გაპარსული. მაგრამ სახის კანი, მზით ნარუჯი კანი, რაღაცნაირად მოჭმუჭნული და დანაოჭებული ჰქონდა.

მიმტანმა გაიღიმა.

მიმტანს ყური მოეკრა მათი საუბრისათვის.

გაიფიქრა: მართლაც, და დიდი რამ არის მშობლიური კერაო.

მერე ერთბაშად გატრიალდა და სამზარეულოსაკენ გაეშურა.

მეგობრებს გრძელი, დაკოჟრილი ხელები მაგიდაზე დაეწყოთ.

სარკმლის იქით, გზის გადაღმა ზღვა შხუოდა.

მამაკაცები ზღვის შხუილს უსმენდნენ...

გიორგი სანაძირაძე.

6.

ქართველი მეცნიერების დახმარებით

თბილისი—კუბა

თბილისიდან კუბაში გაემგზავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელი, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი პ. გოგიშვილი. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქართველი მეცნიერი კუბელ სპეციალისტებთან ერთად შეასრულებს კვლევითს მუშაობას მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის დარგში.

უკანასკნელ ხუთ წელიწადში ქართველ მეცნიერთა მონაწილეობით კუბაში შესრულდა მეცნიერული გამოკვლევები ფიზიკურ და ეკონომიურ გეოგრაფიაში. ისინი კუბელ სპეციალისტებთან და საბჭოთა კავშირის მთელი რიგი სამეცნიერო ინსტიტუტების მეცნიერებთან ერთად სწავლობდნენ კუბის ტერიტორიის გეოლოგიურ აღნაგობას, მის კლიმატს, რელიეფს, მცენარეულობას და სამეურნეო საქმიანობის ასპექტს.

ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი აქტიურ მონაწილეობას იღებს კუბის ეროვნული ატლასის მომზადებაში. ატლასზე საავტორო მუშაობა ძირითადად დამთავრდა. ახლა მას ამზადებენ გამოსაცემად. ეს არის 160-ზე მეტი რუკა, რომლებიც ასახავენ რესპუბლიკის ბუნებრივ რესურსებს, მის ისტორიასა და კულტურას, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგს.

კუბის ატლასი გამოვა 1970 წელს. ეს იქნება ამგვარი ტიპის პირველი მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაწარმოები მთელ რიგ ლათინურ ამერიკაში. ატლასი მნიშვნელოვან მეთოდურ ინტერესს იწვევს მსოფლიოს ყველა განვითარებად ქვეყანაში, რომლებმაც უნდა განახორციელონ ასეთი ტიპის მეცნიერული გამოკვლევები.



რებისადმი ინტერესი ევროპაში იმ დროს დიდი ყოფილა. აღნიშნული ჩანაწერების მიკვლევა დიდი საშვილიშვილო საქმეა.

რადგან ძველ ხალხურ სიმღერებზე ვლაპარაკობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება თუ მის შესახებ ერთ მნიშვნელოვან ფაქტსაც აღვნიშნავთ. ფირფიტების საკავშირო სტუდია „მელოდიამ“ მოსკოვში გამოუშვა ანსამბლ „შვიდკაცას“ მიერ შესრულებული სიმღერების ფირფიტა, რომელზეც ჩაწერილია: „ხასანბეგურა“, „ადილეი“, „დედოფლის სიმღერა“, „ქალოს ხელოვანი“, „მაყრული“, „ალი-ფაშა“, „აკეთლების ღიღინი“, „ყარანაი ყანაში“, „ბებია“ და „ნანინა“. ეს სიმღერები 1913 წელს თბილისში გრამოფონის ფირების საზოგადოება „ამურ-რიგას“ ჩაუწერია. ანსამბლი „შვიდკაცა“ გასული საუკუნის 90-იან წლებში სოფელ აკეთელმა ქვის-მთლელმა გლეხმა კოწია ხუხუნაშვილმა ჩამოაყალიბა, რომელიც ხალხური სიმღერების შემსრულებელი და მცოდნე იყო. მის მიერ ჩამოყალიბებული ანსამბლის წევრები იყვნენ სოფელ აკეთის მკვიდრნი: ბესარიონ, ალმასხან, იოსებ, რაჟდენ ხუხუნაშვილები, სერაპიონ კუკულავა და ზაქრო პიპაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ ანსამბლი „შვიდკაცა“ ჩვენი საუკუნის 40-იანი წლების ბოლომდე არსებობდა, მის მიერ შესრულებული სიმღერების სხვა ჩაწერები არ დარჩა. შემორჩენილია მხოლოდ ზემოაღნიშნული 1913 წლის ჩანაწერი, რომელიც რესტავრირებულია. არ არის გამორიცხული, რომ ამ ანსამბლის მიერ შესრულებული სხვა სიმღერების ჩანაწერები სამომავლოდ, მისი მიკვლევა და გამომზეურება მართლაც რომ დიდი მამულიშვილური საქმე იქნება.

იქნებ თქვენ, ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო, იცით რაიმე აღნიშნული სიმღერების შესახებ და მათ მიკვლევაში თქვენი წვლილი შეიტანოთ.

დ. ცინცაძე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო რუსთაველის სახელობის ბიბლიოთეკა თბილისი

ინსტიტუტი და მისი დირექტორი

ექსპერიმენტული მორფოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის ნინო ჯავახიშვილის დღევანდელი საქმიანობა მორიგი ოპერაციით დაიწყო. ასობით ოპერაცია გაუკეთებია და, ვინ მოთვლის, მერამდენედ შეაბიჯა დღეს საოპერაციო ოთახში.

იქიდან გამოსვლის შემდეგ სამუშაო მაგიდაზე 2 ახალი წერილი და ბულგარეთიდან პროფესორ ტოთის მიერ გამოგზავნილი სამეცნიერო შრომების კრებული დახვდა, ეს ის მეცნიერია, რომელსაც ადრესატი პირადად იცნობს. მის გარდა სხვა მოძმე კოლეგებთანაც აქვს მიმოწერა. ერთ წერილს ქალაქ სოფიის საფოსტო ტვიფრი ატყობინებენ, რომ იქ ინგლისელი მეცნიერი ბილეტი ჩავიდა და, რომ იგი 26 მარტს ამ ინსტიტუტს ესტუმრება.

— მობრძანდეს, გულთბილ მასპინძლობას გავუწევთ! — ამბობს დეპუტატობის კანდიდატი.

1914 წლის 7 ნოემბერი. მოსკოვში თოვლი იდო. ჩრდილოეთს თოშს ყინულის არშიებით მოეჭარგა ფანჯრები. გარეთ ღამეს წყვდიადის ყრუ სიჩუმე მეფობდა. მაგრამ ეს სიწყნარე მოჩვენებითი იყო. იცოდა მელორგინემ — ფრონტებზე იმპერიალისტური ომი მძვინვარებდა.

— მშვიდობის სიმბოლოდ მოქცეულიყოს შენი დაბადების დღე! — დალოცა დედამ ახალშობილი და საკუთარი ხალხის სამსახური უსურვა. სურვილიც მალე აუხდა: რევოლუციამ დასაბამი მისცა მშვიდობას და ადამიანი ფართო ასპარეზზე გამოიყვანა. თბილისშიც დაფუძნდა უმაღლესი სასწავლებლები. ნინო ჯავახიშვილმა სამედიცინო ინსტიტუტი დაასრულა, თვითონვე პედაგოგი გახდა. ათიოდე წელიწადში ასისტენტობიდან ინსტიტუტის დირექტორობას მიაღწია. ადვილი როდია სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მეთაურობა. ეს ნიშნავს, გზა გაუკაფო მეცნიერების იმ დარგს, რომელიც უკრიდიდან მთლიანად ორგანიზმამდე შეისწავლის ადამიანის აღნაგობას.

როგორ ასრულებს ექსპერიმენტული მორფოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ამ ძნელ მისიას? მისმა დირექტორმა ნინო ჯავახიშვილმა მოგვაწოდა ზოგიერთი დამახასიათებელი ცნობა. კვლევის ძირითადი მიმართულების (ორგანიზმის ზრდა-განვითარებისა და მისი დაზიანებული ნაწილების აღდგენის უნარიანობის შესწავლა) გარდა მეცნიერები ამუშავებენ ბევრ უმნიშვნელოვანეს პრობლემას. აქ შექმნილი 1.000-ზე მეტი ნაშრომი შეიცავს ფენს მრავალ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხს. ცდების მოწყობისა და რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების მდიდარი მასალების გამოყენების საფუძველზე სპეციალისტებმა ახალი წვლილი შეიტანეს ექსპერიმენტული მორფოლოგიის განვითარებაში. აი, რამდენიმე მაგალითი. დღემდე გავრცელებული აზრის მიხედვით ციბოს უკრედი ავთვისებიანია, ხოლო მისი ჩონჩხი ნორმალური ქსოვილის ნაშთად ითვლებოდა. პროფესორმა ჯაბუნიამ დაასაბუთა, რომ ავთვისებიანი უკრედი თვითონ წარმოქმნის ავთვისებიან ჩონჩხს. ეს კი ამახვილებს ექიმის ყურადღებას — გამონახოს განკურნების უფრო ეფექტიანი გზები.

პროფესორმა გივი თუმანიშვილმა საფუძვლიანად შეისწავლა უკრედთა ურთიერთმოქმედება და უკრედში აღმოაჩინა მისი გამამრავლებელი და ამ გამრავლების შემაკავებელი ფაქტორები. ავთვისებიანი სიმსივნის დროს ამ უკანასკნელის განვითარება, ცხადია, ხელს შეუწყობს კიბოს წინააღმდეგ ბრძოლას.

ჩვენშიც და უცხოეთშიც კარგად არის ცნობილი თ. ღიბრაძის, ნ. მამფორიას, გ. სამსონიძის, ზ. ცაგარელის, ე. სტურუასა და სხვების წვლილი ექსპერიმენტული მორფოლოგიის განვითარებაში. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ნანა შიუკაშვილმა პრაღაში ჩეხოსლოვაკელ სწავლულთან ერთად შექმნა სამეცნიერო ნაშრომი, ახლა კი ასეთსავე საქმიანობას მოსკოველი კოლეგის მხარდამხარ განაგრძობს. ქართველი სპეციალისტების ფართო რეზონანსზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თბილისში მოწყობილ ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა საკავშირო ყრილობაზე 600-დან 50 მოხსენება ჩვენებმა წაიკითხეს.

მეცნიერების ამ ქართულ კერასთან ერთად იზრდებოდა და სახელს იხვეჭდა მისი წარმატებების მონაწილე ნინო ჯავახიშვილი. ინსტიტუტის ფუძემჩაყრის პერველი დღიდანვე იგი ხელმძღვანელობს სისხლძარღვებისა და ნერვული სისტემის განვითარების პრობლემის შესწავლას. 110 ნაშრომის აეტორი ბევრი რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო ფორუმის მონაწილეა. მოღვაწეობის თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე მან ათობით მეგობარი შეიძინა ავსტრიასა და ბულგარეთში, ბელგიასა და დანიაში, ლუქსემბურგსა და შვეიცარიაში, საფრანგეთსა და იტალიაში, ჩეხოსლოვაკიასა და კვიპროსზე, ურუგვაისა და ჩილეში. ნინო ჯავახიშვილი ყველგან საბჭოთა ხალხის ღირსეული წარმომადგენელია. 4 წლის წინათ ვისბადენში გამართულ ანატომთა საერთაშორისო კონგრესს მოახსენა, თუ რა შედეგი გამოიღო დაკრონის, კაჭრონისა და ლავსანის მილების ჩანერგვამ საცდელი ძაღლების აორტასა და მსხვილ არტერიაში. კონგრესის დამსწრე ასობით დელეგატიდან მიუხვენის სამედიცინო ბიულეტენმა „პრაქსის კურიერმა“ საჭიროდ ჩასთვალა, მკითხველისათვის გაეცნო ნინო ჯავახიშვილის სახე და მოღვაწეობის ზოგიერთი შტრიხი. ქალბატონმა ჯავახიშვილმა, — კმაყოფილებით აღნიშნავს იგი, — რეფერატი წაიკითხა სუფთა გერმანულ ენაზე.

ფრანგებს, იტალიელებსა და ინგლისელებსაც ხომ თავიანთ დედაენაზე ებაასებოდა!

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ნინო ჯავახიშვილი თანაისტიტუტელებმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ამომრჩევლები პირველად როდი ხვდებიან მას. დამოუკიდებელი შრომის ასპარეზზე გამოჩენის შემდეგ ნ. ჯავახიშვილი სახელმწიფო მოღვაწეობის სარბიელზეც მალე გამოვიდა.

ი. რჩეულიშვილი.

გამოფენიდან „მთები და ადამიანები“

ო. ერქომაიშვილი — „პირველი სხივები მზისა“



საბჭოთა უნივერსიტეტი აეროპორტში

თბილისის აეროპორტის კულტურის სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა მიეძღვნა სასკოლო ასაკის ბავშვთა მოვლასთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსს. მეცადინეობას ხელმძღვანელობდნენ თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი ზ. ჩიმაკაძე, ლექტორები კ. რამიშვილი, ექიმი მ. ნოზაძე, ასპირანტი დ. გორდელაძე. მათ გააცნეს მშობლებს მოსწავლის ჰიგიენის საფუძვლები, მისი სწავლისა და დასვენების სწორი ორგანიზაცია. ნაჩვენები იყო მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ძნელი ასაკი“ და მოკლედ მიმოიხილეს უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მოვლენები.

სულ რამდენიმე თვე გავიდა, რაც დაიწყო სასწავლო წელი ახლად შექმნილ სახალხო უნივერსიტეტში, მაგრამ მან უკვე მოიპოვა ფართო პოპულარობა მოსახლეობაში. 140 კაცი ჩაეწერა უნივერსიტეტში. ისინი რეგულარულად დადიან მეცადინეობებზე, რომლებიც ეწყობა ოჯახში მოსწავლის აღზრდის კორსით.

ვინ რა თქვა

ფიქრები სამშობლოზე

● მშობლიური კერის კვამლი სხვა ქვეყნის ცეცხლზე უფრო სასიამოა.
ლათინური ანდაზა.

● სამშობლო არის ჩვენი მხსნელი მტკიცე და სწორი:
მასზე დაყრდნობით მოვიპოვებთ ნამდვილ მეგობრებს
სოფოკლე.

● არსებობს განა უფრო ძლიერი და უფრო მწვავე ტანჯვა, ვიდრე სამშობლოდან გადახვეწა?
ევრიპიდე.

● არსებითად ადამიანი თავის თავს კარგად გრძნობს მხოლოდ იმ გარემოცვაში, რომელშიც ის დაბადებულა. ვისაც სხვის ქვეყანაში მაღალი მიზნები არ მიერეკება, ის გაცილებით უფრო ბედნიერი იქნება, თუ დარჩება სახლში.
გოეთე.

● ეჰა, მამულო შენის ტრფობით ძალსა ღვთიურსა
რა დაუდგება? — კლდის სიმაგრესა აძლევს უძლურსა.
ოდეს შენდამი სიყვარული აღიძვრის გულში,
დედაც კი შვილის სიყვარულს ჰკლავს შენს სიყვარულში.
რა სხივოსანი შენი შუქი აღმობრწყინდება
კაცისა გულში, ყველა გრძნობა მასშია ჰქრება,
ვითა მზის შუქში უმცირესი მნათობი ცისა,
ვითა ზღვაშია დაცემული წვეთი წვიმისა.
ილია ჭავჭავაძე.

● ნურავინ იტყვის იმას, რომ კაცობრიობა და არა ნაციაო, ეროვნებაო, და მეც მინდა პირდაპირ კაცობრიობას ვემსახურო! ფერადოვანი კაცობრიობა სხვადასხვა ნაციის, ეროვნებისაგან არის შემდგარი და თვითეულმა მათგანმა თავისი საკუთარი ელ-ფერი და საკუთარი „რამეობა“ უნდა შეიტანოს, რომ აივსოს საკაცობრიო ზღვა! თვითეულ კაცს თავის ნაციასთან თანაშეზრდილს უფრო ნაყოფიერად შეუძლიან იმუშაოს სამშობლოში, ვიდრე გარეთ. და მართლაც, ვისაც თავისი საკუთარი მშობელი არ უყვარს, იმას შეუძლია მშობლად სხვა შეიყვაროს? ვინც სამშობლოს არ ემსახურება, იმას შეუძლია, რომ უკეთ სადმე გარეთ იმსახუროს?

● სამშობლოს კეთილწარმატება იმიტომ მენატრება, რომ ის პირნათლად, მჭიდროდ შეუკავშირდეს ფერადოვან კაცობრიობას.

● ვისაც სამშობლო არა სწყამს, ვისაც მშობელი, ნაშობი, თანდაყოლი არ უყვარს და თავს მითი მართლულობს, რომ მე გაურჩევლად მთელი მსოფლიო მწყამს და მთელი კაცობრიობა განურჩევლად მიყვარსო, ის შემცდარია!
აკაკი წერეთელი.

● ძლიერია მთელი ერი საზოგადოდ და ყოველი ადამიანი კერძოდ, ვიდრე იგი მტკიცედ დგას ეროვნულ ნიადაგზე; ხოლო სუსტდება და იღუპება, როდესაც იგი შორდება ამ ნიადაგსა და სწყვეტს მასთან გამაცხოველებელ კავშირს.

● ნაწილი ენისა, რომელიც მოშორდა საერთო ეროვნულს ნიადაგსა, სწრაფად მიდის უკან-უკან, სუსტდება, ველურდება და ხდება მსხვერპლად გამხრწნელი პროცესისა.

● მთელი ერი ანთეოსის მსგავსად, ძლიერია, როცა იგი თავის ნიადაგზე მტკიცედ დგას და სუსტდება და იღუპება, როცა იგი ამ ნიადაგს სწყდება.


● როგორც ერის დანაწილება, პატარ-პატარა ლუკმებად გადაქცევა, დაქუცმაცება საუკეთესო ხერხს შეადგენს ამ ერის დასუსტებისა, დაქვეითებისა და მიწასთან გასწორებისათვის.
იაკობ გოგებაშვილი.

● ვინც მოიპოვა სამშობლო მრავალ ქვეყანაში, ის გულის სიღრმეში არსად არ გრძნობს თავს სავსებით სახლში, საკუთარ სამშობლოშიც კი.
ჰ. იბსენი.

● ის ვერ მისცემს ქვეყანას სიხარულს, ვისაც თვით ქვეყანა არ უყვარს.
ბ. აუერბახი.

● სოფელი იმად არა ღირს კაცი ნატრობდეს უამს გრძელსა,
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა.
გრიგოლ ორბელიანი.

აქ იბადებიან...





თბილისის № 1 სამშობიარო სახლი ყველაზე დიდია საქართველოში. ყოველწლიურად აქ ჩვენი ქვეყნის 3-3,5 ათასი ნორჩი მოქალაქე იბადება. ექიმთა კოლექტივი, საშუალო და უმცროსი სამედიცინო პერსონალი, სამედიცინო მეცნიერებათა კანდიდატის, თავისი საქმის დიდი ენთუზიასტის, დოცენტ ანგელინა გრიგოლის ასულ ფერაძის ხელმძღვანელობით ყოველ ძალას ხმარობენ, რათა პატარები ჯანმრთელნი და ძალღონით სავსენი გაიზარდონ, რომ მათი დედები კმაყოფილნი დარჩნენ საავადმყოფოს მომსახურებით.

ცნობილია, რამდენ საზრუნავს იწვევენ დროზე ადრე დაბადებული ბავშვები. ისინი მოითხოვენ განსაკუთრებულ, გულმოდგინე მოვლას. № 1 სამშობიარო სახლში გახსნილია ჩვენს ქალაქში ერთადერთი სპეციალიზებული განყოფილება ასეთი ბავშვებისათვის. პალატებში, სადაც ისინი წვანან, შენარჩუნებულია მუდმივი 24-დან 26-გრადუსამდე ტემპერატურა. ბავშვებისათვის, რომლებიც დაიბადნენ 900-დან 1.500 გრამამდე წონისა, არის სპეციალური ინკუბატორები, რომლებშიც მიაწვდიან ნოტიო ჟანგბადს, რათა ბავშვებმა უკეთ შეითვისონ იგი, კვება სპეციალური ზონდებით წარმოებს.

ექიმ-პრაქტიკოსებს დიდ დახმარებას უწევს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მეანობისა და გინეკოლოგიის მე-2 კათედრის კოლექტივი. მეცნიერი-მედიკოსები იყენებენ უახლეს მეთოდებს ბრძოლაში მშობიარეთა პათოლოგიური პროცესების საწინააღმდეგოდ.

* * *

სურათებზე: ბავშვთა ფიზიოლოგიურ განყოფილებაში, ექიმი ლია ახვლედიანი (ქვემოთ).

[E10] ფ. 17/30

რასაც დასთეს, იმას მოიმკი

არ გათეთრდება ყორანი...

საუბარი საქართველოში ღვინის დაყენების ისტორიასა და ტექნოლოგიას შეეხო, შესანიშნავი ცოდნა გამოამჟღავნა ვახტანგმა. შემდეგ საფრანგეთში მოგზაურობის შესახებ ილაპარაკა, ფრიად კმაყოფილი იყო ბიძის ნახვით, გვიამბობდა თანამემამულეებზე და მათ შორის მხოლოდ რამდენიმეს იხსენიებდა უგულოდ, განსაკუთრებით კი — ვიქტორ ხომერიკს. თურმე ხომერიკს, შანშიაშვილსა და ზოგიერთ მისთანებს არ მოსწონთ ქართული კონიაკის სახელები, უმტკიცებენ განურჩევლად ყველას, რომ ქართველი ახალგაზრდობა დღეს საქართველოში ეკონომიურ გაჭირვებას განიცდის. თურმე ღვინის დაყენების ტექნოლოგია ქართველებმა დაივიწყეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, საერთოდ, საქონლის წარმოების კულტურაც კი ჩამორჩება ადრინდელს (მხედველობაში აქვთ 1917-21 წლები).

ყველა ამ საკითხზე პასუხის გაცემა ძნელი არ არის და როცა ჩემი თანამოსაუბრისაგან საკადრისი პასუხი მიიღეს, ერთხმად შეჰყვირეს რას მამლაყინწობო.

მამლაყინწობაზე თუ წავა საქმე, ალბათ საჭირო იქნება ზოგიერთის და მათ შორის ვიქტორ ნოეს-ძე ხომერიკის დაყვინჩილებასა და მამლაყინწობაზე მოვუთხროთ ჩვენს თანამემამულეებს.

პარიზში გაუტარებია ვიქტორ ხომერიკს თავისი ახალგაზრდობა იმ პირების მფარველობისა და მზრუნველობის ქვეშ, რომლებმაც მამამისს უბიძგეს ხელი 1924 წელს სამშობლოს წინააღმდეგ ხმალი ამოეღო, თუმცა იცოდნენ, რომ ისე როგორც ყველა სხვა მოღალატეს, მასაც არ შეხვდებოდნენ ხელგაშლილნი საქართველოში.

ხომერიკს კომერციული ინსტიტუტის დამთავრება მოუნდომებია, იქ ცოტახანს უსწავლია. შემდეგ კი, თავი დაუნებებია ინსტიტუტისათვის და საფრანგეთის ოკუპაციის წლებში ფაშისტური გერმანიის სამსახურში ჩამდგარა. შემდეგ „მოღვაწეობას“ აგრძელებს ბერლინში და ბნელი საქმეებით დატვირთული ხშირად მიემგზავრება ბუქარესტში, სტამბოლში, ათენში და მსოფლიო ომის დროს თქვენ წარმოიდგინეთ ყირიმშიც კი.

არ გამართლდა ფაშისტური გერმანიის გეგმები, არ გამართლდა მიხაკ კედიასა და მისი თანამზრახველის ვიქტორ ხომერიკის მოლოდინი. წყალში ჩაეყარათ მრავალი წლის „ნამუშევარი“. დამთავრდა ომი, გაიმარჯვა საბჭოების ქვეყანამ, უფრო განმტკიცდა და გაიზარდა მისი ავტორიტეტი მსოფლიოს მშრომელ და პატიოსან ხალხთა თვალში. მაგრამ უანგარო და პატიოსანი შრომა ყველასათვის როდია დამახასიათებელი.

ვერ მოისვენა ვიქტორ ხომერიკმა და გადაწყვიტა ახალი საფარველით ახალ მფარველს მიჰკედლებოდა. ისევ დაიწყო ჩვეული მოგზაურობა საბერძნეთსა, თურქეთსა და ირანში. საფრანგეთში დაბრუნების ეშინოდა ფაშისტების სამსახურში ნამყოფს.

საბერძნეთში ორი ქართველი მიენდო ვიქტორ ხომერიკს. მან კი ისინი თურქეთში ჩაიყვანა და სტამბოლის პოლიციას ჩააბარა სანდრო მენაღარაშვილთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ. სტამბოლის პოლიციამ იმდენ ხანს ამყოფა ისინი ციხეში, სანამ მენაღარაშვილისა და ხომერიკის დახმარებით მათგან არ მიიღო თანხმობა სამშობლოში გადაბარვისა და სადაზვერვო დავალების შესრულების შესახებ.

თურქეთიდან ხომერიკი ირანში მიემგზავრება საიდუმლო მისიით. მისი მიზანია ზუსტი ცნობები მიაწოდოს თავის ახალ მფარველებს იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია ქართველი ემიგრანტები თეირანში და შეიძლება თუ არა მათი გამოყენება სამშობლოს წინააღმდეგ.

გარდა ამისა წმინდა წყლის სადაზვერვო დავალებებიც ჰქონდა შესასრულებელი. მისი დიდი სურვილი იყო გაეგო, რა გზით, როგორ შეიძლებოდა ირანის ტერიტორიიდან საბჭოთა ქვეყანაში, განსაკუთრებით საქართველოში, გაწვრთნილი ჯაშუშების შემოგზავნა, იყო თუ არა კავშირი დამყარებული სპარსეთის ხელისუფალთა და ქართველ ემიგრანტთა შორის, მოიძებნებოდა თუ არა ისეთი პირები, რომლებმაც უღალატეს სამშობლოს და თავიანთ პირად საბუთებს დაუთმობდნენ ხომერიკს შავი საქმეებისათვის. გარდა ამისა, ვიქტორ ხომერიკი ცდილობდა მოენახა საიმედო ხალხი ირანისა და საბჭოთა კავშირის საზღვრის გასწვრივ, რათა შეექმნა დასაყრდენი პუნქტები დაჭრილებული აგენტების შესაპარებლად საქართველოში, ხელი შეეშალა იმ ქართველ ემიგრანტებისათვის, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ სამშობლოში დაბრუნებისა.

ხელმოცარული ბრუნდებოდა ვიქტორ ხომერიკი სპარსეთიდან, ვერ გაუმართლა იმედები თავის მფარველებს და გადაწყვიტა გაეცურებინა ისინი. მან შეადგინა ყალბი ინფორმაცია თავის მისიის შედეგებისა ირანში, გაბერა ფინანსური ხარჯები და ანგარიში წარუდგინა ინგლისის დაზვერვას. ხომერიკი სწერდა მათ, რომ „მართალია იგი სპარსეთში ყოფნის დროს თეირანიდან არ გასულა, მაგრამ ადგილებზე, მხედველობაში ჰქონდა ქალაქები თავრიზი, კერეჯი, ვანაგი და ბუჯნუდი. თავის ხალხს გზავნიდა“. გარდა ამისა ხომერიკი აშკარად იტყუებოდა. როდესაც ახსენებდა ინგლისელებს. რომ თითქოს შერჩეული ჰყავდა კანდიდატურა საიდუმლო დავალებით ირანიდან საქართველოში შესაგზავნად.

აქაც ჩაუვარდა კოვზი ნაცარში ვიქტორს და გადასწყვიტა საფრანგეთში დაბრუნება, დაბრუნდა კიდეც და საფრანგეთის ხელისუფალთა მიერ დაკავებული იქნა.

ამის შემდეგ ხომერიკმა იფიქრა საკარმიდამოს შევიძენ, მიტოვებულ შვილების აღზრდას მოვკიდებ ხელსო, მაგრამ გავიდა ხანი და ვიქტორმა გადაწყვიტა ერთხელ კიდევ, ისიც სიბერეში ეცადა ბედი მრავალჯერ ხელმოცარულ საქმეში. იგი ახალი გეგმებით გაემართა ახალი დროების შესახვედრად. მისთვის სულ ერთი იყო, ვინ იქნებოდა მფარველის როლის შემსრულებელი, რომელი ქვეყნის წარმომადგენელი, ოღონდაც რითიმე ჩირქი მოეცხო საქართველოსათვის, საბჭოების ქვეყნისათვის. ამ საქმეში გვერდით ამოიყენა კ. ჯიბლაძე და გ. შანშიაშვილი. ერთმანეთს ცნობებს აწვდიან, თუ ვინ ჩავიდა საქართველოდან საფრანგეთში. არ გამოტოვებენ არცერთ ტურისტულ ჯგუფს, ყველას ხვდებიან და „გასაცარ“, „გასაკვირველ“ ზღაპრებს უყვებიან ჩვენი ქვეყნის მიღწევებზე, კულტურაზე, ახალგაზრდობაზე.

ნათქვამია კაცი ახალგაზრდობაში დათესილს სიბერეში მოიმკისო და ყველაფერი ის, რაც ვიქტორ ხომერიკმა ახალგაზრდობაში დათესა და გააკეთა, სიბერეში რომ მოიმკას?! მაშინ, ალბათ დაყრუვდებოდა, დაბრმავდებოდა და დამუნჯდებოდა კიდეც.

ა. ჯაფარიძე.



მთები, თოვლი, ადამიანები.

ანდაზები

- ახალგაზრდობაში აცდენილმა ყანწმა სიბერეში მაქეიფაო.
- ვაი იმას, ვინც მხოლოდ სიკვდილამდე ცოცხლობსო.
- დაილოცოს ის ტყუილი, ავადმყოფს რომ მოარჩენსო.
- დიასახლისო, სანამ მაგიდაზე პურმარილს მიიტანდე, ჯერ გული მიიტანეო.
- დოვლათი სახლიდან ვერ გამოაგდეს, სანამ სიზარმაცე არ შეუგზავნესო.

ვახტანგ ჯავრიშვილი.

პოულობთ სექრეტს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.